კვირა, 19 ივლისი. ფასი 10 კაპ.



მათრახი

და სალამური

№ 6

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

1 ივლისიდან წლის დამლევამდე ჟურნალი „მაწრახი და სალამური“ ღირს **2** მ. და **50** კ. ვინც ფულს ამ თავიდან სრულად შემოიტანს, გაეგზავნება გამოსული ნომრებიც. ფული და წერილები ამ აღრესით უნდა გამოიგზავნოს:

Тифлисъ, типографія «Шрома» Василію Карамановичу Болквадзе.

პროვინციელი კბილის ექიმი.

დეპეშები.

(ეშმაკეთის დეპეშათა სააგენტო)

ქუთაისი.—აუტანელ სიცხის გამო „ვარსკვლავი“ იჯარით იყიდება. ვაჭრობა დანიშნულია 20 ივლისს.

ბათუმი.—კვირას 19 ივლისს დანიშნულია არტისტ ბრახუნაძის ბენეფისი, ბათუმის საზოგადოება ენერგიულათ ემზადება ბენეფინციატის პატივსაცემლათ. ახლო მახლო აჭარის სოფლებში კაცები გაგზავნეს ლაყე კვერცხების შესაგროვებლათ.

იქიდანვე— აქ ხმები გავრცელდა ბლიკვაძეს თავს დაესხენ ბოროტგამზრახველნი და გუდა დაუხიესო. რამდენათ მართალია არ ვიცით.

ფოთი— ძალიან სიცხეები დაიჭირა. წვეთის დაცემისაგან გარდაიცვალა 24 ბაყაყი. ქალაქის გამგეობა დიდის ამბით ემზადება მათ დასასაფლავებლათ.

ოზურგეთი—12 ივლისს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა. კამათი იყო ამბულატორიის გახსნის შესახებ. ხმოსნები ძალიან გახურდენ კამათის დროს. პლატონს რეჩების ნიაღვარი სდიოდა. რეჩის დროს უცბათ მან ოვალი მოკრა თემისტოკლეს, ესროლა სკამი და ორი კბილი ჩააგდებინა. თემისტოკლეს კბილების ხსოვნას საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა.

სამტრედია—20 ივლისს რკინის გზის სადგურის ახლო გაიმართება კარტოფნიკთა ბანკეტი. მოწვეულია მთელი ქვეყნის კარტოფნიკ-ჩემპიონები, უმთავრესათ რკინის გზის მოსამსახურენი.

პეტერბურგი—გაიხსნა ყორნების სიეზდი. მოხდა შეხლა-შემოხლა. შესაძლებელია ერთი მეორე დასძიძგნონ.

პეტერბურგი—ლონდონიდან მომავალ დეპეტატებს პეტერბურგის სადგურზე ვოლოდია პურიშკევიჩი შეხვდა და ქვები დაუშინა, რატომ გამეპარეთო. ხომიაკოვს ცხვირი დაუზიანდა, გაეყვლიფა, მძიმეთ დაშავდა ტიმოშკინი და ბობრინსკი ვალოდიამ მოქუსლა და ჯერაც ვერ დაუჭერიათ (აპერაციის შემდეგ ძალიან გარბის)

ადესა—ტოლმაჩევს ყელზე „ურია“ დაადგა. საშიშ მდგომარეობაშია. მორჩენის იმედი არ ააქვთ.

ბარიჟი—ბურცევი ლონდონისკენ წავიდა პროვოკატორებზე სანადიროთ. იქიდან რუსეთში დაბრუნდება სახელმწიფო საბჭოს წევრ-პროვოკატორის დასაჭერათ.

ბრიუსელი—ბრიუსელელები გარტინგს სამედიატორო სამართალში იწვევენ, რომ შეარცხვინა და მათი ქალი ითხოვა.

ლონდონი—დუმის დეპუტატ ტიმოშკინს ცალი ფეხის წაღა დარჩა, ხომიაკოვს პერანგი და მარკოვს შალვარი. ყველა ეს ამ დღეებში ბაგაჟათ იგზავნება პეტერბურგში.

ოჟარანი—ლიახოვი კუჭის ტკივილით ავად შეიქნა. ამ დღეებში იგზავნება პეტერბურგში.

პატარა შაჰმა ტირილს თავი დაანება და იცინის.

ხოლერას სიმღერა.

—

ხოლერამ სთქვა: „ინდოეთმა
შემაძულა აზიაო,
რუსეთისკენ გადმოვსახლდი
აქ ჰაერი ნაზიაო,
ქალაქები ბინძურ-ბინძურ,
ხალხი კი ლამაზიაო,
შავსა ჭირსაც მოიკიდის
იმათი თავაზიაო.

ძველებური მასპინძლობა
არსად მახსოვს ამგვარიო,
არვის სჯერა ჩვენი მტრების,
ექიმების, ზღაპარიო.
თუ სოფლებში დაიხელეს
ჩუმათ შემონაპარიო,
ხალხის რისხვას რო იხილავს
აეშლება ფაფარიო.

ნევის წყალი შემიყვარდა,
პეტერბურგის მდინარეო,
გადავსწყვიტე აქ ჩავსახლდე
მე ყოვლის უწინარეო,
სანიტარნი და ექიმნი
დამხვდენ დამთვრალ-მძინარეო,
ფრთა გავშალე და იცოცხლეთ
ბევრი მოვამკვდინარეო.

ღმერთმა ხელი მოუმართოს,
აქ მთავრობაც მშველოდაო,
ხალხი ისე დაეტუქსა,
რომ ხსნას ჩემგან ელოდაო,
მოხარშული წყალის შოვნა
წამალსავით ძნელოდაო,
და ნევასა უხვად მდინარს
ვერვინ შეელეოდაო.

იქ კი ჩემი ბაცილები
ნავარდობდენ ლაღათაო,
მაღლა ცა და ძირს ხიდები
ედგათ გვირგვინ თაღათაო,
ვინც კი ერთ წვეთს ჩაყლაპავდა
იქ მოსული საღათაო,
იმავე დღეს აძინებდა
საუკუნო „საღათაო“.

ვნებივრობდი ზამთარ-ზაფხულ
მე ბედ მადლიერიაო,
ყველა კარგათ მიხვდებოდა,
ბავშვი და ხნიერიაო,
ერთი დღე არ დავრჩენილვარ
იქ მწყურვალ მშიერიაო
ხალხი შემხვდა ღვთის მოყვარე
სათნო, სახიერიაო.

წელს მომწერეს: ქალბატონო,
რათ არ გახვალთ გარეთაო,
რას დავმჯდარხარ პეტერბუგში
ეგრე მგლოვიარეთაო,
წადით სითაც მოგეწონოს,
მი-მოიარეთაო,
გემები და რკინის გზები
სამგზავროთ იხმარეთაო.

მეც გავშალე შავი ფრთები
და სიკვდილის ცელიაო,
ერთ ალაგას ჩასახლებამ
სხვას ვის მისცა ხელიაო,
ჩრდილოეთით გადვიარე
შარა დიდი, გრძელიაო,
არხანგელის გუბერნიას
მედგრათ მივყავ ხელიაო.

ვოლოგდაში სხვა გავგზავნე
ჩემი მეზობელიაო,
რიგა განზე დამრჩენოდა
იყო ერთობ ძნელიაო.
მოსკოვს მხოლოთ მივაკითხე,
მიპასუხეს: „გელიაო“
ნემცებს ვძულვარ, არც მე მიყვარს,
ხალხი საძაგელიაო.

ისევ რუსეთს ვენაცვალე
ფართე ბეჭებიანსაო,
თავისუფლათ დანავარდობ
არსად ხედავ ზიანსაო.
გლეხი კაცი ღმერთად გსახავს
გკადრებს თავაზიანსაო,
მოსვლა თქვი და წასვლისა წილ
არ ვინ გეტყვის გვიანსაო.

ნ ა თ ვ ლ ა.

—

ივლისის სიცხე-პაპანაქებაა. მზე ისე ძალზე აჭერს, თითქო უნდა მთელ ქვეყანას ცეცხლი გაუჩინოს და გადასწვას. გაზეთ „ჩახმახი"-ს თანამშრომლები ვერ შეუშინებია ამ სიცხეს, თავი მოუყრიათ ერთ ოთახში და ნათვლისათვის ემზადებიან ოფლი წურწურით ჩამოსდით ყველას, თითი შუბლებზე მიურჭვიათ და ღრმათ ჩაფიქრებულან. თავსატეხი საკითხია ახალშობილის სახელის ამორჩევა.

— მოვიგონე, მოვიგონე,—უცბათ წამოიძახა იოთამ ბრახუნაძემ. ამისთანა სახელი ქვით!

ყველამ თითები მოაშორა შუბლს და ბრახუნაძეს მიაპყრო თვალები.

— იცით ბიჭებო რა სახელი მოვიგონე?

— აბა სთქვი, სთქვი მოისმა აქეთ იქიდან.

— წრიპინი.

— აი აგაწრიპინა შენმა ეშმაკმა—უკმაყოფილოთ წამოიძახა რამდენიმემ. შე ოჯახ ქორო ამდენხანს მაგაზე ფიქრობდი? წრიპინი, რა თაგვები ხომ არა ვართ? არა არ ვარგა.

ყველამ ისევ თითები მიირჭვეს შუბლებზე და ღრმათ ჩაფიქრდენ.

— მე მოვიგონე, მე,—უცბათ წამოიძახა ილია ხვანცარიკაძემ.

თითები ისევ ძირს დაუშვეს და ილიას მიაპყრეს თვალები.

— ცხენი!

— სულელი! მიაძახა ვიღაცამ და თითები ისევ შუბლზე მიერჭო.

— პატივცემულო საზოგადოებავ—დინჯათ დაიწყო კირკიტა წუნწკურაშვილმა—მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ძლიერ ღრმათ ჩაფიქრებული ვიყავი, ბევრი სახელები გადავსინჯე და ბოლოს საუცხოვო სახელი ამოვარჩიე. თუ გნებავთ ვიტყვი.

— სთქვით, სთქვით—მიაძახეს აქეთ-იქიდან და თითები ისევ ძირს დაეშვა.

— „ქართული ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო გაზეთი ბუქი".

— არ ვარგა, ძალიან გრძელი სათაურია—სთქვა ბაძგუ მერგელიამ—მას ყველანი დაეთანხმენ. წუნწკურაშვილი გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

თითები შუბლებს მიერჭვენ.

— ჯოხი—წამოიძახა ერთმა.

— არ ვარგა—მიაძახეს დანარჩენებმა, ისე, რომ თითები შუბლებს არ მოუშორებიათ.

— ფეხი!—წამოიძახა მეორემ.

— არ ვარგა—მიაძახეს დანარჩენებმა.

— ხელი—წამოიძახა მესამემ.

— არ ვარგა—მიაძახეს დანარჩენებმა.

— ურემი—წამოიძახა მეოთხემ.

— არ ვარგა—იყო პასუხი.

— გოროდოვოი—წამოიძახა მეხუთემ.

გოროდოვოის ხსენებაზე, თითები ფიცხლავ ძირს დაუშვეს, ყველანი წამოხტენ და ქუდებს ხელი დაავლეს.

— თქვე ოხრებო, გოროდოვოი კი არ მოსულა, გაზეთს დავათქვათ გოროდოვოი, კაი სახელიც არის და არც დაგვიხურავენ სთქვა ღიმილით კაცია ჭლიკაძემ.

— მაგისთანა სახელი შენთვის შეინახე—მიაძახეს დანარჩენებმა და დარცხვენილი ჩამოსხდენ სკამებზე და თითები ისევ შუბლებზე მიირჭვენ.

— ყმაწვილებო! ნელა დაიწყო დათია ყლაპიაშვილმა, და თითი ძირს ჩამოუშვა სწორეთ სასაცილოა ჩვენი საქმე. გაზეთის რედაქტორი გვიშოვნია და სახელი კი ვერ მოგვინახავს. ამდენი პატიოსანი თავი ამ სახელის მოგონებაზე სწუხდება. მოდი დავარქვათ თვით რედაქტორის სახელი, მორჩა და გათავდა.

— ვაშა, ვაშა!—სიხარულით მიაძახეს აქეთ იქიდან, სწორეთ საუცხოვოა.

რა ქვია ჩვენს რედაქტორს?

არავინ სახელი არ იცოდა. ბოლოს როგორც იქნა იპოვნეს ქაღალდი.

— ანდუყაფარ—წარმოსთქვა კაცია ჭლიკაძემ.

— საუცხოვოა, საუცხოვო—ყოველდღიური გაზეთი „ანდუყაფარ რწყილაძე".

ნათვლა გათავდა. ფრიად ნასიამოვნები თანამშრომელნი თავთავიანთ სახლებში წავიდენ, რომ დიდი მისსია შეასრულეს.

ირ—ლი.

შეურაცხყოფილი.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

(დასასრული. იხ. მათ. სალამური № 5)

V

მზე გადიხარა
დასავლეთისკენ,
სიდგანაც გრილი
სიო რბის მთისკენ.
წიფლების ჩრდილში
მთისა ფერდობზე,
ჩამოყრდნობილი
თავისვე ოფზე,
სდგას სტეფანე და
ფიქრს გაჰყოლია,
შავი ღრუბელი
შუბლს დასწოლია.
ფიქრობს ის თავის
ახლო წარსულზე,
მწარე ნაღველი
აწვება გულზე:
„წახდა, წავიდა
სუყველაფერი!
ხალხი დამარცხდა.
შურს ძიობს მტერი.
ამხანაგები
შემომაცალეს:
ვინც კი ხელთ იგდეს,—
ყველა დამალეს.
და მეც, თუ მათებრ
ხელთ ჩამიგდებენ,
კაი საქმეს ხომ
არ წამკიდებენ!
გუშინ-მდიდარი,
ნასწავლი, კარგი,
ქვეყნის მოკეთე
და ქვეყნის მარგი,
დღეს ამ ქვეყნისთვის
ვარ მეტი ბარგი!
ჩემ გამო დღეს იქ
ხალხს აწეხებენ
იქნება კიდეც
აწიოკებენ:
ჩემის მიზეზით
ჯარიმას კრებენ.
ვინ იცის? იქნებ
ეგზეკუცია
სოფლებსა უკვე
შემოესია!“
და იქ კი... ცოლი,
ქალი, ობოლი,
მარტოთ, უმწეოთ
რომ ეგულება,
თავს ისევ თითონ
უწყო მტყუნება:
„ვერც მოვისაზრე,
რომ დილით თანა
ცოლი მთისაკენ
წამომეყვანა!..
აქ ჩემი ბინა
ჯერ არვინ იცის,
გარდა ამ მთისა
და ლაჟვარდი ცის,
იქ კი, ვინ არის
მისი პატრონი?
ეჰ, როგორ ცუდათ
იცვალენ დრონი!...
სადღაა კაცი?
ხალხი გამწარდა:
შესძულდა ის, რაც
ადრე უყვარდა,
ვერ აიტანა
ამდენი ცემა
და დღეს ნელ-ნელა
სულით ეცემა...
სულით ეცემა...
ჩვენ კი... ჩვენ—
ზიზღი და ანათემა!..
დაუნდობელი
გახდა სოფელი!
დღეს იქ კვიდრი ძმაც
კი უღალატებს
და ძმის თავს ხელში
მისცემს ჯალათებს!
არა, რაც შევცდი,—
თვით გავასწორებ
და განსაცდელსა
თავს ავაშორებ:
აი, ამაღამ,
როს ღამის ბნელი
ჩამოეშვება
და ძირს სოფელი
ძილს მიეცემა,
მინამკვდარები,—
ისევ ჩემ ქოხთან
მივიპარები:
ცოლს წამოვიყვან
აქეთ, მთისაკენ,
ამ უდაბური
ადგილისაკენ!..
შიმშილი?!. მაგრამ
ეჰ, რაც იქნება,
დე, ჩემზეც ახდეს
განგების ნება!..
... მზე ჩაესვენა
და გულზვიადი
ძირს ჩამოეშვა
ღამის წყვდიადი;
ხევ-ხუვში უკვე
ჩამოწვა ბნელი,
სიო კი... სიო,
გრილი და ნელი,
მოჰქრის, სისინებს,
ლაღათ სრიალებს,
ნელის ჩურჩულით
ტყეს აშრიალებს
და ძირს, ქვით-ქვაზე
გადმომდინარე,
მორბის, მოქშუის
ძთისა მდინარე...

VI

ვით ნუკრი მთისა,
წვრილი ბილიკით
ვიღაც სოფელში
ჩამოვიდა ძთით.
სდუმს გარეშემო.
სოფელსა სძინავს.
ერთი ვარსკვლავიც
ცაში არ ბრწყინავს.
(ბნელა არეში,
ვით სამარეში)
უდროვო მგზავრი
მოდის, მოიწევს,
სოფლის შარა-გზას
კი აღარ მოსდევს:
ხე-ჩირგვებ შორის
ქურდულათ ძვრება
და ფეხ აკრეფით
მოიპარება...
ჩუ! აგერ ძაღლმა
აკქვიტა ყური.
დაიწყო ყეფა,
ატყდა ხმაური.
ამას სხვა ძაღლიც
გამოეძახა
(წამპაძველია
იმათი ხახა!)
ერთხანს იყეფეს,
მაგრამ დადუმდენ,
მტრის არ ყოფნაში
რა რომ დარწმუნდენ.
ეხლა შორს იქით
ასტყდენ ყეფანი:
(ეგ ისევ ძაღლებს
აფრთხობს სტეფანი!)
მიდის ის ნელა,
ფეხ აკრეფილი,
როგორც მინდვრისა
ბაქია ფრთხილი:
მიდის და აგერ...
ნეტა, რა ხდება?
რა ამბავია?
ხომ არ ვინ კვდება?
მის ქოხში ვიღაც
ჰკივის, თან კვნესის,
თითქოს ხედავდეს,
იმ გვარად ესმის.
ელკის უსწრაფეს
ის გაექანა
და დაიბადა
წამსვე ქოხთანა.

მაგრამ, რას ხედავს?
ქოხის წინ წყვილი
შენიშნა კაცის
მოძრავი ჩრდილი;
ქოხიდან ისმის
ქალის წივილი...
მუქარა... ტუქსვა...
ლოშნა... სიცილი...
და ლაპარაკი,
ურცხვი, უწბილი...
ცხადი შეიქნა
სუყველაფერი!
და ქოხისაქენ
თოფ მინაღერი—
მგლურად ღრიალებს..
მყისვე გრიალებს
თიფი და მის წინ
ორი ეცემა...
გაისმის ქოხშიც
თოფების ცემა,
აურ ზაური,
ალიაქოთი,
ხელ ჩარეული
ბრძოლა და შფოთი...
კვნესა... ჭიჭყინა...
ამოგმინება...
ვინ ვის აძინებს!
ვის ეძინება!..
ადამიანი
თავსვე დასცინის,
წერა რომ ხდება
ტყვიის და რკინის!...

VII

გათენდა დილა
და სანახავი
სოფელმა ნახა,
გულისაკლავი:
თვისივე სისხლში
ამოწურული
ოთხი—ქოხშია,
დღე განწირული.
ორიც—ქოხის წინ,
გულგანგმირული;
მათ შორის, ერთი
სტეფანე არის,
ხუთი კი კაცი
აქ მდგომი ფარის!
ქოხისა ახლოს,
ვით მთისა შველი,
მიმორბის ქალი,
ითქმის შიშველი;
მიირბენს მკკდრებთან,
დააცქერდება,
თავსა აიღებს,
ისევ შორდება,
გაირბენს იქვე
და გაგორდება,
თითქოს ადარებს
თავს იმა მკვდარებს,
მაგრამ დგება და
თმა გაწეწილი
კვლავ რბის სტეფანეს
ცოლი, შეშლილი...

*
* *

როს ამ საქმეზე
შესდგა ქალალდი,
სოფელს ჯარიმა,
გარდასახადი,
გაუოთხკეცეს,
რადგანაც მხეცებს,
როგორც სტეფანეს,
სოფელი ჰმალავს
და მათი ძებნით
მთავრობას ღალ.ვს.
ხალხი კი ირგვლივ
იდგა მდუმარეთ,
ჩაფიქრებული
მძიმეთ ცა მწარეთ;
ამ განაჩენსა
იგი ისმენდა:
არას ამბობდა,
ისევ ითმენდა!
ზოგსა მათრახიც
კი გადააწნეს
და თვისი ძალა
ამითი ამცნეს.
მოჭკრიფეს ფული,
იჯერეს გული,
და ანგარიში
როცა გასწორდა,
ეგზეკუცია
სოფელს განშორდა...

მხოლოთ მთაში კლდეს
ეს-ღა უკვირდა:
ნანგრევს სტუმარი
რათ დაუძვირდა?
რალთ ვერ ამჩნევს
თავის წიალში
ჭაბუკს, ჩამჯდარსა
თოფ-იარაღში?

ამ ფიქრს შერთვია
მთაი მდუმარე
ქვეშ კი... ქვით-ქვაზე
გადმომდინარე,
მორბის, მოქშუის
მთისა მდინარე...

ნ. ზომლეთელი.

ეეუთი ბურჯუაძეს.

კომედია სამ მოქმედებათ.

(იმერეთის ცხოვრებიდან)

მომქმედნი პირნი:

1. მიხეილ ბელტაძე,—გამდიდრებული გლეხი, 30 წლისა
2. პავლე სამარაძე,—აზნაური, 40—45 წლისა.
3. ეფემია, მისი ცოლი.
4. ჩიტულია, მათი ქალი,—20—22 წლისა.
5. ათანას გაქექილაძე,—სოფლის მასწავლებელი.
6. შიშტიბუქა,—სამარაძის გოგო,
7. ჩიტირეკია,—ამათივე ბიჭი.

მოქმედება სწარმოებს სოფლათ.

—

მოქმედება პირველი.

(სცენა წარმოადგენს სოფლურათ მორთულ ზალას სამარაძისას. შუა ადგილას სტოლია, ზედ ეანწები, ზარფაშა და სხვა ასეთები ალაგია. ერთ კუთხეში ბატარა სტოლია; ზედ გარმონიკა, დირა და ძველი კარტი აწუვია. მეორე კუთხეში ხელმწიფის სურათი და რადაც სხვა ნახატებია. იქვეა დამტვრეული კედლის სარკე, ორი კრაოტი ნოხებით გადაფარებული. ერთ მათგანზე ჩანგური. კედლები სულ ჩამოფუტული შპალერიანა შემოსილი, ზალას ორი ფანჯარა აქვს, მარა ორთავეში ორ-ორი მინა თუა მთელი, თორემ სხვების ადგილას ქაღალდია აწებებული. ოჯახში ფაკი-ფუტია, ალაგებენ, ვიდაცას ელიან).

გამოსვლა I

(ეფემია, შემდეგ შიშტიბუქა და ჩიტირეკია)

ეფემია. (ცოცხით ხელში, შექვედებული ტანსაცმელით, ხელებზე თითებ გამოჩენილი ხელთათმანები აქვს, თავ წახვეულია) უჰ! გავწყდი ქალი წელში ამდენი საქნარით!.. გაწყვეტა გეერია ახლანდელ ქალიშვილებს! დეისთალიენ ორ ანუბანუს, მერე

ააბზეკენ კუდს და ბუზს არ იკარებენ!.. რა უჭირს ჩემს ჩიტულიას, რო მომეხმაროს და სახლკარი დამაწმენდიოს? მარა... დეიღუპოს ახლანდელი დროი, დეიღუპოს!.. მე აზნაურის ქალი ვკადრულობ ამისთანებს და ჩემი შვილი კი მედიდკაცება... (ფანჯარაში იხედება და იძახის) ბოგო!.. ბოგო!.. შიშტიბუქა! სადა ხარ შე გასაქრობო, ამდენი ხანი?.. შიშტიბუქა!..

შიშტიბუქას ხმა. ბატონო! ბატონო! რა გინდათ?..

ეფემ. ვაი შენს თავს, უი! აქ მოდი მალე აქ! ჩიტირეკიაც მოიყვანე!.. აქ გაშთით ეხლავე ორივემ!.. (ალაგებს) ქე მაინც ტყვილათ არ ჩაივლიდეს ახლა კიდევ ეს მზადება!.. გარაგვიყოლა, გარაგვიტანა ბატონებო, იმ ქალიშვილის გათხოვებამ! კის არ შევაძლიეთ, ვის არ გვინდა მივათხოვოთ, მარა არაფერი ეშველა მის ადამიანობას! არავინ არ მეიწონა, ყველას ცხვირს უბზუებს... მოგვინელა, მოგვხარჩა, მეტი არა ვართ, (შემოდის შიშტიბუქა).

შიშტიბ. რა იყო ქალბატონო, რეიზა მიძახოდით?!.

ეფემ. რეიზა და ფლავის საქმელათ! არ გეამება? მოდი აქ, ხვეტე, მე დავისვენებ. (შემოდის ჩიტირეკია).

ჩიტირ. სალამი ქალბატონს! (ბაუსა) სალამი ქალბატონს!..

ეფემ. (რომელიც აქნობამდე ყურადღებას არ აქცევდა) ოო, გევიგონეთ, გევიგონეთ! არ წამქამა თავი? მეეხმარე შენც ამ ბოგოს!.. მე ეხლავე მოვალ!..

ჩიტირ. კი ბატონო, მაგიზა რავა გაწყენიებ...

ეფემ. ცოტა ენას მოუკელი, ნუ დაგიგძელებია!..

ჩიტ. გლახა ხო არაფელი მითქვამს შე დალოცვილო და... (თავისთვის) რა კაპასია! ურაა, ურა!

ეფ. კიდო! რას ტუტყუნობს! ჭკუით იყავით, არაფერი წაახდინოთ! (ბადის).

ჩიტირ. (ქალბატონისკენ) ვაი ვაი შენს პატრონს, ცივი ღომი გულს ანტროვს! რავა იბერება ორკაპეიკიან ტარანივით! შიშტიბუქაჯან, შენ რას შვები ჩემო სულის კვაწარახო? . (მიიწევა).

შიშტ. გაჩერდი თვარა იმისთანას გთუთქავ ამ ცოცხს, რომ მომხედო და ვერ მიცნო!

ჩიტირ. მაშინ კვდარი იქნება ბიჭი ჩიტირეკია!.. გაჩერდი ჩაგეხუტო ერთი! (შიშტიბუქა ცოტა ხანს არ ნებდება, შემდეგ კი მაღალნათ ჩაეხვევიან ერთმანეთს) იფ... იფ! შიშტიბუქ, ერთი შენებურათ მუზიკა ააქყვირე და დავცოცდეთ ერთი, რაც იქნეს და იქნეს, დღეს არ მიცეკვია და რაღაც ტანი არ მიდგება...

შიშტ. უი, მართლა! მუზიკა აგერ არ ყოფილა! ერთი მეც თუ არ შევკვინტრიშდი, ისე გული არ მიზამს... შენ კარები დაკეტე და დავსცხოთ ერთი ლოთიანათ...

ჩიტირ. კი, გენაცვალე. (ხურავს კარებს. შიშტიბუქა ლეკურს უკრავს; ჩიტირეკია ცეკვავს გაცხარებული და თან ეკვირის) ტაში, ტაში!.. ჩქარი ტაში, ოო!.. (უცებ შეჩერდება) დოუგიე ყური რას იძახის მუზიკა: შიშტიბუქა შიშტიბუქა... (ამ დროს შიშტიბუქაც აცეკვდება ხელში გარმონიკით და იძახის: ჩიტრეკე, ჩიტრეკე).

ჩიტ. აი შენი გამჩენის ჭირიმე ბიჭო!.. გოუსვი ჰო!.. (ამ დროს უცებ კარები გაიღება და შემოგვარდება გაბრაზებული ბაგლე).

გამოსვლა II

(იგინივე და ბაგლე)

ბაგლე. ბიჭო, რა ამბავია თქვე სახლდამწვარის შვილებო! რას შობით, რას გავს ეს? რაა რო წამოგინცვიათ აქაურობა თავზე?! რათ გარაგიქცევიათ ეს ჩემი სახლი! დაგხოცავთ მამა ნუ წამიწყდება! აქ მასხრობთ და დაჩინდრიკობთ, თუ საქმეს აკეთებთ? თქვე სათოკეებო, თქვენ! (მიიწევა ჩიტირეკიისკენ).

ჩიტირ. ბატონო... ხემწიფე... ხემწიფე!.. შიშტიბუქას ბრალია, შიშტიბუქას... იმან..

ბაგლე. (შიშტ) მართლა? ან? ან? გაგხეთქო კვერცხივით?

შიშტ. ბატონო, ხვითო... ალმასო... ჩიტირეკიის ბრალია, იმან შესთინა... (ორთავე კარში გახტებიან).

ბაგლე. ვაი დედაჩემს და ვაი დედაჩემს მე თქვენ რო აქ ჭადს გაქანქიებთ!.. ეეყურეთ ამ წუწკის შვილებს რას შვებიან!.. მამა ნუ წამიწყდება ძოვკლავ ვიცხა იქნება!.. ქალო... ქალო! ეფენია! სად ეშმაკში ხარ, სა შავ წყალში ხარ დედაკაცო, ან?! (დადის გაბრაზებული) დეიქცევა ოჯახი, აპა რა იქნება? აპა რა დეემართება? ერთია ვილაც უჩიტლურასთან აგდია ყოველ დღე, ზოგი აქ დაცეკვავს, ზოგი სადღაც ჯანდაბაშია!.. ქალო, ქალო!.. დაგიყენოს ჩემა სალოცავმა ყურები!..

გამოსვლა III

(ბაგლე და ეფემია)

ეფემ. (შემოდის) რა იყო კაცო, რო დაგიღია პირი და ალავი! პეტერე არ ამოგივა იმ ოხერიდან?

ბაგლე. ვჯღავი კი არა, არ ვიცი რას ვიზამ

ღმერთმანი!.. მამა ნუ წამიწყვდება ვიცხას იქნება...

ეფემ. ბიჭოს! რა გაბღორინებს შე კაცო? რა ეშმაკის გადანარებზე გამეიარე?!.

ბაგლე. რავა რა მაბღორინებს შე გამომცემელ გაწყვეტილო! გოგოს და ბიჭს რო ოუიანცებიათ აქოურობა არ ხედავ? ყურის გდება არ უნდა ოჯახს? ან? გინდოთ გამომწყვიტო თგვარში, შემარცხვინოთ კაცი? დღეს იმისთანა სტუმარს ველი და ასეთი მზადება უნდა მქონდეს? ან?

ეფემ. ნუ დაგიღია ის ყბა! გვინახავს ისეთი ვაუბატონებიც! ევიყრებით მისი გულიზა თუ რაცაა შენი ფიქრით! მოდის თვარა დიდი ვინმე კი მყავს მისმა სიცოცხლემ!..

ბაგლე. ვახ, შენი ჭკუა არ გაშორდა შენს გვარს! (ბრაზობს) ეს აზნაური მყავს!.. თავადია!.. და ბევრი რამე კი უქყავა ჯიბეში!.. შენმა გაგუდვამ!..

ეფემ. ვაი თუ მართლა ამბობ შე გამობენტერებულო! ეგება არც ქე იცი მართლა შენი ღირსება, შენი და მისი კაცობა ერთია?

ბაგლე. არაა და აბა ერთი წადი და შენ გამეეკ.მე წინ! ფუ, დაღუპოს ღმერთმა დედაკაცის ტვინი და აზრი!.. ოლონდ ენა კი ატიტყინოს და რას ამბობს იმას კი არ ჩივა... ფუ.. ფუ!..

ეფემ. აგი შენს თავს; წელკავი შენს თავს!.. რას იფურთხები?.. (საერთო ბაუზა. ბაგლე გულმოსუდი დადის).

ბაგლე. სადაა ი ი გოგო? (ბაუზა) სადაა მეთქი ჩიტულია?!.

ეფემ. კაცო, მე რას მიყვირი? შენ რეიზა არ იცი შენი შვილის ამბავი?

ბაგლე. ქალო, სადაა მეთქი!.. მამა ნუ წამიწყდება...

ეფემ. მამაშენს წოუწყდი!.. წოუწყდი, (ბაუზა) მგონი ულჩიტელთანაა.

ბაგლე. ჰა!.. უჩიტელთანაა! რა უნდა, სულ იქინე რო აგდია? სანამდი კუღს არ გამოაბამენ, არ მოშორდება?

ეფემ. აქნობამდი რო არ უშლიდი?

ბაგლე. არ უშლიდი! არ ვუშლიდი, მარა ხომ ხედავ რო არაფერი გამოდის! თუ მოსახერხებელი ყოფილიყო რამე, ახლობამდი გაკეთდებოდა, ალბათ არ ირთავს ის კაცი და ისაა... ახლა სხვა უნდა ვეძიოთ! გოუგზავნე ჩიტირეკია, რო ახლავე მეიყვანოს!

ეფემ. შენ გოუგზავნო? რაღა მე მიბძანებ?!

ბაგლე. კიდო! შემომიტრიალე სიტყვა! მევიდეს, გამეეწყოს და დახვთეს იმ კაცს, ეგება იმას მაინც მეეწონოს...

ეფემ. თავიც ქვას ახალეთ შენ და იმან...

ბაგლე. ფუ, შენი გაჩენის საათი, შენი... (გადის გაბრაზებული).

ეფემ. დასწყევლოს ღმერთმა შენი თავი! რაცხა აბუზარებული კაცი შენ ხარ! ხან ისეა, ხან ასეა, ამისას ვეფერს გეიგებ. ახლობამდი იძახოდა იაროს იმ გოგომ უჩიტელთან, აქეთ იპატიჟებდა ყოველ კვირას იმ კაცს და ახლა რას იძახის!.. შეაყვარე თავიო, ეუნებოდა გოგოს და ახლა?.. (ბაუზა) მარა რო თქვას კაცმა, არც ურიგობა ქე იქნეს მგონი, რო ასე მოხდეს საქმე? რაა მართლა ის უჩიტელი? მისი გაქუცული სამასი მანეთი მისს თვალებში იყოს. თავსაც ვერ დეირჩენს, თვარა შვილები რო ეყოლოს, მერე სულაც რა ეშველება? ნასთავლი ქია, მარა მისი ნასთავლობა რა ბედენაა, თუ ჯიბეში არაფერი უქყავა... (ბაუზა) სწორეთ კაი აზრი მოუვიდა ჩემს პავლეს! ოხ, რა ეშმაკია, რა მოხერხებულია. (ადგება იქაურობას) კარგათ უნდა დავხვდეთ, წუნი არაფერში დაგვდოს, მდიდარი კაცია, ქვეყანა უნახავს... მერე რა მდიდარია თურმე! ქუთაისში ათი დუქანი და სახლები ქონია, ჭიათურა ხომ სულ მისიაო... ისე თბილისშიო, ფოთშიო... ჩვენს სოფელშია და ხომ მგონი ორასი ქცევა მიწაც კი იყიდა... სახლკარი თავადიშვილივით წამოიჭიმა... (ბაუზა) ან? ღმერთმანი კაი იქნება, რომ ჩემ ჩიტულიას შეირთავდეს... ან? ვეცდებით... დავფაცურდებით... ღვთის მადლით კაი კონტორა გოგო მყავს და ისე შევუშთებით, რომ აქით შემოვიხვეწებთ...

გამოსვლა IV.

(ეფემია და ჩიტულია)

ჩიტულია. რა ამბავია, დედა, მამა ვინ გააჯავრა?

ეფემ. არაფერი შვილო, არა გენაცვალე!.. ახალი ამბავი იცი შვილო? გეიგე?

ჩიტულ. რა არის, რა იყო?

ეფემ. არ გაგიგია? ეი დამიდგეს თვ ლები!.. დღეს ჩვენსას მოდის სტუმრათ მიხეილ ბელტაძე და...

ჩიტ. მერე ეს დიდი ამბავია?

ეფემ. აბა? აბა შვილო? მეემზადე გენაცვალე, კარგად ჩეიცვი, უმარილი წეიცხე, პუდრი. მოაწონე თავი და ერთი შემოვიხვეწოთ! ეი, გენაცვალე, ჩემო შვილიკო, თუ ღმერთმა ქნა და იმას მიგათხოვეთ!..

ჩიტ. ხომ არ შეშლილხარ დედაჩემო, რას ამბობ?

ეფემ. რავა რას ვამბობ? გული რო გწყდება მდიდარ ქმარზე, აი ესაა, მოგვდის ბედი. თურმე



ქალაქის განაპირა უბანში

კიდეც მოწონხარ და იმისათვის მოდისო... მარა თურმე ცდილობს, რო არავინ შეატყოს და მოუმიზეზებია, ვითომ მამაშენიდან მიწის ყიდვა... ასე აჩვენებს სოფელ-ქვეყანას და ნამდვილათ კი გულში სულ სხვა აქვს...

ჩიტ. დედა ჩემო, ხომ არ გაგიჟდი? რას ლაპარაკობ, რას ამბობ? ვინ მიხეილ ბერლტაძე და ვინ მე? რა უნდა იმას ჩემთან?

ეფემ. კი დედა! მართალია შენსავით ლირსეული სისხლის და ძვალის პნტრონი არაა, გლეხია, მარა ფულები აქ შვილო ბევრი, ქონების პატრონია... კარგად ვაცხოვრებს...

ჩიტ. თუ ღმერთი გწამს, დედა, მეორეთ არ მითხრა! განა სირცხვილი არაა თქვენი საქციელი? საქონელი ხომ არა ვარ, რომ ყველას ავაჭრებთ ჩემს თავს?! ათასჯერ მითქვამს, რომ ამნაირის სიტყვებით არ მომმართოთთქვა და მაინც არ იშლით?

ეფემ. მარტო მე კი არა შვილო! მამაშენიც ასე ამბობს: ვეცადოთ და რაიმენაირათ ის კაცი სიძეთ გავიხადოთო... ჩეიცვი, შვილო, ჩეიცვი! გეიგონე ჩემი სიტყვა... მე პუდრს გამოგიტან. (გადის და ისევ მალე შემოდის ჰუდრით ხელში: უნდა სახეზე მიაყაროს, მარა ჩიტულია ნებას არ აძლევს) ასე შვილო, ასე! დამიჯერე!

ჩიტულ. დედაჩემო, ღმერთმანი გულს მომაყვანიებ! დამანებე თავი. (ჰუდრს გადაუყრის).

ეფემ. ხო, რა იყო, ქალბატონო? კი ნუ გამიკუნტულდები, თვარა!.. ვაი დედას, არ გამილაბავხარ ვითომ ერთხელ მეტად!.. გაიგოს მაპა შენმა და დაგავიწყებს იმ უჩიტელუკასიან სიარულს!...

ჩიტ. დედაჩემო, არ გრცხვენია მაგისათვის? აკი შენც პატივს ცემდი იმ მასწავლებელს...

ეფემ. არ ვიცი მე მაგისთანების ლაპარაკი!.. არა!..

გამოსვლა V

(იგინივე და ბაკლე)

ბაკლე. შვილო, მეეწყვე კარგად, ის კაცი მოვა საცაა და სირცხვილი არ მაჭამო, კარგათ შეხვდით, ზრდილობიანათ! (ფაციფუცშია).

ეფემ. (ნიშის მოგებით) ახლა? ახლა ხო გითხარი შვილო, რო არ მიჯერი...ან?

ბაკლე. რაო, არ გიჯერის? მამა ნუ წამიწყვდება...

ეფემ. არა... მე ისე... ისე... რავა არ დამიჯერებს, (ჩიტულია უურადღებას არ აქცევს).

ბაკლე. არაფერი გავიგო მაგისთანა, თვარა!.. არაფერი მეცოდინება მე დედაკაცების გაბუტვის... (შვილს) ისწავლა ორი ანუ ბანუ და აბზეკს კუდს... მამა ნუ წამიწყდება, ჭკუით თვარა!..

ჩიტ. მამა, რათ ილანძღებით?..

ბაკლე. ის ქენი ის, რო გეუნები! მომძულდა შენი შენახვა: ტანი ვერ შეგიკერე და ფეხი. გათხოვდი, გეღირსოს რამე და გეიჩინე პატრონი! სანამდი გინდა ასე იჩინდრიკო? შენხელა ქალებს შვილები ყავთ!..

ეფემ. ჩეიცვი შვილო, ჩეიცვი სხვა კაბა...

ჩიტ. მე ჩაცმული ვარ. .

ბაკლე. ქალო, სირცხვილი არაფერში მაჭამო იმ კაცთან! ყველაფერი წმინდათ იქონიეთ, მიალაგ-მოალაგეთ თავის ადგილს.. დაამზადეთ კარტი, ნარდი! გუშინ ხო გარეცხეთ ის ძველი კარტი? ხო გააუთავეთ კარგა?

ეფემ. კი, მარა დეიხა ამდენ რეცხაში და უთოობაში,—ეს მეექვსეთაა მგონი რაც გეირეცხა...

ბაკლე. არა უშავს, მეასეთაც გარეცხეთ! აბა ახალის საყიდელი ფული სადაა? (ბაუზა) იქნება თამაში მეინდომოს, შენ აქ იყავი გოგო და თუ ისუროს, მაშინვე აყევი! არ დეიწყო შენებურათ ჩარბების ბზუება. . მე გოგოს და ბიჭს ვნახავ აბა რავა ხვეტავენ ეზოს... (გადის).

გამოსვლა IV

(ჩიტულია და ეფემა)

ეფემ რა მდიდრათაააო, მერე რა მდიდრათ! რო მოინდომოსო მთელ სოფელს იყიდისო. ხო და ამისთანა კაცმა თუ შეგირთო შვილო, მერე არც შენს დედმამას გვიჭირს რამე... დედამისს მის მეტი შვილი არ ყავს... და მისი ქონება სულ შენი და ჩვენი იქნება: იპარპაშე და იყავი. იარე აქეთ-იქეთ ქალაქებში, რასაკვირველია მეც წამიყვან... ხო შვილო? ხომ?

ჩიტ. მე მისს ქონებას ერთ გროშათაც არ ვიყიდი.

ეფემ. რავა? წუნობ თუ?

ჩიტ. მე ქონებას კი არ მივთხოვდები, არა მედ ადამიანს... იცი?..

ეფემ. ის კაცი ადამიანიცაა და ქონებაც აქ.

ჩიტ. ეს ვიცი მე და არა სხვა ვინმემ...

ეფემ. ჩემი სიკვდილი, რავა ჯიუტობს! შენ რავაც გატყობ იმ მასთავლებელზე გაქვს გული, მარა შვილო დაფიქრდი, მაგას შენი შენახვა არ შეუძლია... კი ერთხანს მეც ქე გიპირებდი, მარა ახლა რო გაკვირდება, დიდი ხეირი არაფერი ექნება. მის ხელში მუდამ გაჭირებული და მშიერი იქნები, ორჯერ კუჭი არ გაგიძღება წელიწადში, ვერ ჩაგაცმევს, ვერ დაგახურავს... ამასთან კი დედ-იფალივით იქნები, მეფურათ იცხოვრეფ... ეგება სიტყვა მიეცი იმ უჩიტელს და გატეხის გცხვენია, თუ მასეა შვილო, იმის დარდი ნუ გექნება შენ... მოწმე ხო არავინ გყავს და თქვენს მეტმა ხო არავინ იცის და რავაც გინდა ისე იზამ. ასე უთხარი შევცდითქვა, ყველა უკეთესს ეძებსთქვა და მორჩა, იგიც თავს დაგანებებს. ან გულგრილობა დაუწყე და აჩვენე და ის იქნება. განა ცოტა მომხდარა ასეთი? რა ვუყოთ, შენი სარგებლობიზა რო კაცმა სიტყვა გატეხო, არავინაც არ გიძრახავს...

ჩიტ. ახ, დედაჩემო! როგორ მიყვარდი ახლობამდი!.. რას ამბობ დედა, რას გავს შენი ნათქვამი... თუ ღმერთი გწამს სხვა რამე თქვი დედა, სხვა...

ეფემ. რა ვთქვა დედა? ამაზე საჭირო და საადავიდარაბო ახლა ჩვენს ოჯახში რაა? შენი გათხოვების მეტი არაფერი არ გვაწუხებს!.. ვინ იცის, იქნება იღბალი კარზე გვიგორდება!..

ჩიტ. რაკი ასეა, ილაპარაკე რამდენიც გინდოდეს. (გადის).

ვ. მალაქიაშვილი.



მესტვირული.

—

(გურულის შწარე დიდინა).
ავხმაურ-ავლიღინდები,
გვერდზე მოვიგდებ გუდასა,
სამგზავრო მოვემზადები:
დავსძახებ „ტუდა-სუდა“-სა;
მე თვითონ პატივს არა ვსცემ
მოხეტიალეს, ტუდასა,
რომ შეგხვდება და-შეგაქებს:
„ემსგავსის მელა-კუდასა!
არა ჩემი გზა სულ სხვაა:
მე არ დავდივარ ფულისთვის,
არ მინდა ვიპირმოთნეო
საჩუქარისა გულისთვის,
წამოგდებულს გროშს რას ვაქნევ,
ავი თუ რამ ვქენ სულისთვის
და სწორი სიტყვა გავლუნე:
მტრად ვიქეც დაჩაგრულისთვის?!.
მაშ, ასე, ღვთისა ხსენებით,
გზას დავადგები სოფლისა.
სიცხეა პაპანაქება...
ხვითქი გადამდის ოფლისა.
თავიც არა მაქვს სუყველა
გლეხთ გასაჭირის მოთვლისა:
სოფელს სხვა და სხვა მოხელე
თავის გემოზე მოსთლისა!
მხოლოთ ეს ერთი მაკვირვებს,
ვფიცავ სულს ჩემი მამისას,
სტრაფნიკულ გაუთლელობას,
და მზეს ხუცური ჭამისას!
მკაცრი ზომებით სოფელში
ხალხს ფულს რად სთხოვენ დრამისას?
რად ჭკადრულობენ გატანას
ქოხიდან ყოველ „ხლამისას“!
უწინ თუ დეკემბრამდისაც
ხშირად რჩებოდენ დრამანი,
ხშირად კიდეეაც ყლინწავდენ
სოფლისა სახლის მამანი
და არ სქდებოდენ გულზედა
მით სულიერი მამანი,
არც კლებულობდენ მის გამო
მათი სმანი და ჭამანი.
დღეს რაღა მოხდა, ნეტავი,
მთავრობის გადამრეველი?
რათ დატრიალდა სოფელში
მათრახი, ყოვლის მჭლეველი?
უწინ თუ იყო ხარჯთ-კრების
წლისა ბოლომდის მთნეველი,
დღეს წლისა შუაზე რათ გახდა
გლეხთაგან დრამის მრთმეველი?!.
ესე საკითხი მღვდელთაგან
ამ გვარად აიხსნებისა:
„ჩვენგან მოთხოვნა დრამისო
აროდეს არ იქნებისა!
მრეველი ჩვენ მრევლად გვინდაო
და არა—კრებათ მტრებისა!
დრამის მოთხოვნა არისო
საქმე მთავრობის ნებისა“...
მთავრობა, ანუ პრისთავი
ამ საკითხს ასე ახსნისა:
„გლეხებო, ფარა მოიტათ,
მღვდელთაგან თავის დახსნისა!
ჩვენ უნდა იგი მოვბოჭოთ,
თქვენ გზა არა გაქვსთ სხვა ხსნისა.
ის თქვენი მღვდლები არიან
„არც კაცისა და არც – ღვთისა“.
„ჩვენ არ მოვითხოვთ დრამასო“,
ეტყვიან გლეხთა ყრილობებს,
ზოგი გლეხთ გაჭირვებიზა
გულსაც კი მოიჭრილობებს,
თავის კატუნით დააფრქვევს

სიტყვებსა, საპირტკბილობებს,
და იმავე დროს დრამაზე
გზავნის „ჩუმ-მიწერილობებს“. .
ასე ორპირი ტყუილით
ხუცები ფონსა გადიან
და სტრაჟნიკები სოფელში
დრამა ფულისთვის დადიან,
მრევლს კი ჯერ ვერა რა უთქვამს,
რისი თქმაც და ქნაც სწადიან,
და ასე არვინ არ იცის,
რას იქმან? რასა სჩადიან?..
ცხადია, დრამის მოკრეფა
მიტომ სწარმოებს სწრაფადა,
რომ გლეხთა გულში ნაღველმა
ვერ ასწროს ქცევა ქაფადა,
მღვდელს და მრევლს შუა კავშირი
არ გაწყდეს უცბათ, ხათადა,
მშვიდი და მყუდრო ცხოვრება
არ შეიცვალოს ხაფადა!..
მაგრამ... ეჰ, მაგრამ... რა, მაგრამ?..
ისევ ძირს დავსდებ გუდასა,
ხის ქვეშ მივწვები, დროებით
შევწყვიტავ „ტუდა-სუდასა“.
მე თვითონ პატივს არა ვსცემ
მოხეტიალეს, ცუდასა,
პირში მაქებარს, შემპარავს,
ფლიდსა და მელაკუდასა!!!

ონისიმე.

დ. სამტრედია. სიბინძურის კომისია და ადგილობრივი ადმინიიტრაცია ხელი ხელ ჩაკიდებული იღწვიან ქალაქის გასაწმენდათ, მარა ჩვენს დაბას მაინც არაფერი ეშველა. სიბინძურეს ისე მაგრათ ჩაუქედია ხელები ჩვენი დაბისათვის რომ მისი გაწმენდა მთელ ჯოჯოხეთის ძალებსაც არ შეუძლია. სიბინძურის კომისია, იღწვის დაბის გასამშვენიერებლათ, მას უნდა არხის გაყვანა, „მწვანე ბაზრის“ გაკეთება და სხვა და სხვა, მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს. დაბა ისევ ყარს, არსად არხი, არსად „მწვანე ბაზარი“ მიუხედავათ ამისა „სიბინძურის კომისია“ დაბეჯითებით თხოულობს, დაბა გავამშვენიერეთ და ეხლა „პოსადათ“ გადაგვიკეთეთო. ჩემის აზრით სანამ სამტრედია „პოსადათ“ გახდებოდეს, საჭიროა „სიბინძურის კომისიის“ წევრთა ზურგის შეხურება.

—

ყვირილა. გასაკვირი არ არის, რომ ეხლანდელ დროში ადამიანი მოსტყუვდეს. ვინ მოიფიქრებდა, რომ ყვირილელი ვაჭრები ალიხანოვის შემდეგ კიდევ წელს გაიმაგრებდენ, მაგრამ აქაც მოვსტყუვდით: უწინ თუ ფიცრულში ყვლეფდენ ხალხს, დღეს ქვითკირის დარბაზში განაგრძობენ გულ-უბრყვილო ხალხის გლეხის გაცურებას. გარწმუნებენ აღარაფერი შეგვრჩაო: როგორ გაკცეთ პასუხი ან მტერს ან მოყვარეს, როგორ ვცეთ პატივი, ჯიბეში გროშიც აღარ მოგვეძნებაო. მეც ვუჯერებდი ენაწყლიანებს, და თურმე ვსტყუვდებოდი. გროში კი არა და კაი რვაასი თუმანი უჯდება ყვირილელებს „წესიერების დამცველთა“ შენახვა. სხვა კერძო გადაქანქარებას იქითკენ, თქვენ რომ იცით, ხომ თურმე საზღვარი არა აქვს.

მაგრამ ნუ იტყვით და ვაჭრებისაგან გარდა ქანქარისა თუმე პირადი მონაწილეობაც ყოფილა საჭირო „წესიერების აღდგენაში“ მაზრის უფროსმა ღიპიანთა განსაცვიფრებლათ, დაავალა თითო ვაჭარს მთელი ღამე უყარაულოს ბაზარს და წესიერება დაიცვას.

თურმე მაზრის უფროსს ეს პროექტი იმ მოსაზრებით შეუდგენია, რომ სტრაჟნიკებს მარტოთ

არ მოსწყინდეთ ღამე ცარიელ ქუჩებში ხეტიალი, და რა იცის აქაურ ვაჭართა პირწყლიანობამ, გადაუწყვეტია სტრაჟნიკებს თითო ვაჭარი დაუნიშნოს. ვიღაც მოხელეს გაუფრთხილებია მორიგეობის წინ ვაჭარი გაჩხრეკილ იქნას, ან კარტი ან ლოტოს ყუთი თან არ გაიყოლოს საყარაულოზე და სტრაჟნიკები არ ყვლიფოს ღამის მყუდროებაში. ერთი სიტყვით დღეის შემდეგ ჩვენ მყუდროებას ვეღარაფერი ვეღარ დაარღვევს.

ბასილიკა.

—

კორბოულის მხარე. პატივცემულო ეშმაკო! ჩვენი მხარე, კორბოულის და პერევისის საზოგადოება, თითქმის დავიწყებული გყავთ. სამათრახონი, ვფიცავ თქვენ მადლსა, აქეთ გაცილებით მეტია ვიდრე სხვაგან. უწინარეს ყოვლისა გამოვითხოვ მათრახს სოფ. ჭილოვანის მღვდლის გიორგი ტყემალაძისთვის. როცა მამას სახრავათ ჭილოვანი არ ეყო სხვა სოფლებსაც გადასწვდა. როგორც მოგეხსენებათ ეს მხარე ექიმს მოკლებულია და ქართული ანდაზის მიხედვით „უძაღლო სოფელში კატას აყეფებენო,“ აქაც უექიმობის გამო გ. ტყემალაძეს აექიმებენ.

წასული თვის ბოლო რიცხვებში ჭიათურაში მივემგზავრებოდი. გზაზე ჩვენებური (ს. კორბოულელი) გლეხი შემხვდა, რომელსაც ჩაბალახის ყურში გამოხვეული ბოთლი ზურგზე გადაეგდო და შინისკენ მიეშურებოდა. მოჰყვა საბრალო თავის გაჭივრებას და ზედ უცნაური ექიმის მამა ტყემალაძის ქებაც დართო. მე დავინტერესდი, გამოვართვი წამალი და შინჯვა დაუწყე. თფილი წყლით სავსე ბოთლში ერთი პარაშოკი ქინა თუ იქნებოდა გახსნილი და ამ უკაცრავათ პასუხია „წამალში“ თვრამეტი შაური გადაეხდევინებინა. სიმართლე გითხრათ, ყოვლად მოწყალეო, მე თუმცა ექიმი არა ვარ და ავათმყოფობისას ვერას გავიგებ, მარა წამლის გაკეთება—ცნობაში თუ ბევრი არა, ცოტა მაინც გამეგება. ეს კი ცხადია, რომ მ. გიორგისგან მიცემული წყალში გაქნილი ქინა ჭლექის ხველებას ვერ უშველის. ამას გარდა სხვა რამეებსაც ხელს არ აკლებს მამა გიორგი. თურმე მთელ მის პრიხოდში ერთად ერთი, როგორც იქაურმა გლეხმა გადმომცა, „ქაღალდის მცოდნე“ ისა ყოფილა. საბრალო მოხუც მამას სალდათი შვილისაგან მოსული „ქაღალდს“ ისე არ წაუკითხავს თუ ორი ან ერთი დღის სამუშევრად მოხმარებას არ დაჰპირდა. თხოვნის ან ხვა ამ გვარი რამეს დაწერაში ხომ ყველას.... ვაუწყებთ ყველა ამას, გთხოვთ არ მოაკლოთ თქვენი მოწყალება მამა გიორგი ტყემალაძეს და ერთი კუდი მათრახისა უწილადოთ ნაკურთხს ზურგზე.

კორბოულელი „ჭიჯი.“

—

ს. ჭაგანი. ადგილობრივ მცხოვრებლებს განზრახვა ქონდათ მეორე მწერალი დაექირავებიათ ექვთიმე კოპალეიშვილისთვის, მაგრამ მან საზოგადოება შეიცოდა და უარი სთქვა. სამაგიეროთ ხალხმა მას ჯამაგირს გარდა 50 ქანქარი დაუნიშნა წლიური პენსია.

—

ს. კულაში. ნოე მიქელაძე, აპოლონ და ბიქტორ, ძალიან ცუდ გუნებაზე არიან, რომ შეცთომაში შევიდენ და თავიანთ „ნამოქმედარისთვის“ ჯილდოს მაგიერ საყვედური მიიღეს.

პატარა ბზიკი.

—

ბაქო. ვერც სიცხემ, ვერც ადმინისტრაციის სუსხმა და ვერც ჯოჯოხეთის ძალამ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა აქაურ ბუფეტის მოსამსახურეებზე. ჯერ იყო და საღგურზე კაცების მოსართავ ოთახში ქონდათ გახურებული კატის თამაში, მარა იგემეს თუ არა მათრახის კუდი, სადგურს თავი ანებეს და კერძო ბინაზე დაიწყეს თამაში. ეგონათ იქ ვერ მიუწვდენდი შენ კურთხეულ მათრახს, ჩემო ეშმაკო, მაგრამ მოსტყუვდენ თუ დრო გექნება და ჩამოხვალთ მე პირდაპირ მიგიყვანთ მათ ოთახთან და მერე შენ იცი და შენმა მათრახმა.

ფეია.

—

დ. აბაშა. მართალია სამხედრო წესები მოიხსნა, მაგრამ სამაგიეროთ ზოგიერთ პირების წყალობით შესდგა შავი რაზმი, რომლის მიზანია კრამოლნიკების დაჭერა. რაზმელს ეძლევა, საპატიოს 7 მ. 50 კ. თვეში, ხოლო დანარჩენებს 5 მ. ასეთი რაზმი შესდგა სოფ. ქოლოუბანში, რაზმი უკვე შეიარაღებულია. ასეთივე რაზმები სდგება სხვა საზოგადოებებში.

აგენტი.

—

ვუძღვნი ქვალონელებს.

ესე ამბავი ნამდვილი
ჩემი თვალითა ნანახი
ყურადღებისა ღირსია,
და არა საგმობ-საძრახი.

ერთ დროს ერთ ღარიბ სოფელში
ცხოვრობდა ერთი ყმაწვილი,
სახელწოდებით ალექსი—
კუჭუხიძეთა ცნობილი,
მამა-პაპურად თოფ-ხმალში,
ჩამსხდარი, გამოწყობილი,
უაზროთ მოხეტიალე
და ამგვარათვე ძმობილი.
„ძმაბიჭობაში ნაქები
სატრფოსგან ლახვარ-სობილი,
მისი სინაზე ეშხითა
ჩამომჭკნარ, ჩამოდნობილი.
რომელმაც ორგულ სატრფოსა

უმტრო. . სიავემ დასძალა
და საფანტითა ფილითა
მარცხენა ფეხში ახალა.
დაჭკოდა ნორჩი გოგონა
დაუჭიანა ფეხია,
ისედაც ღარიბ ოჯახსა
თავს დაატეხა მეხია.
შემდეგ, რა რიგათ ვინ იცის
მხოლოდ დღეს კი ეს ცხადია
ჰე იქ ქვალონის სადგურზე
საქმეთა გამგეთ ჰხადია
ციკეთის ქნაზე არ ფიქრობს
გულში არა აქვს დარდია,
დურმიშხანულსა საქმეში
ღმერთს გეფიცებით, ნაღდია.

ყველა ამას, ძმაო ეშმაკო, ბოროტი ენები ამტკიცებენ და განა მე უფლება მქოდა არ წარმომედგინა თქვენ სამსჯავროს წინაშე?!

ბოროტი ენები იმასაც ამტკიცებენ, რომ კუჭუხიძე სულ დასტარის ფოთის რკინის გზის მოუწყობლობას. აი მისი მოთქმა: „თვალნი ჩემნი ცრემლიბათ იღვრებიან, გულსა ჩემსა კაეშანი ევლინება, როცა ვხედავ, რა რიგათ ცარცვავენ ფოთის ლიანდაგის კანდუქტორები მგზავრებს. ძათ უბილეთოთ ატარებენ და ხაბინას აურაცხელ ზარალს აყენებენ. ამიტომ გთხოვ, თქვენო აღმატებულებავ მომანიჭოთ მე კონტროლიორობა და ბოროტება ესე აღმოიფხვრება!! უფალმა ისმინა ვედრება ესე და მყისვე უბოძა მას კონტროლიორობა. მას შემდეგ კუჭუხიძე ციბრუტივით დატრიალებს მაძებარივით დასდევს მატარებლებს და როცა „ბრუციანებს“ ვერ პოულობს, მგზავრებს უტეხს ხათაბალას და ყოველ სადგურზე დამატებით ფასებს ახდევინებს. თუ ვინმეს პიოველი, ან მეორე კლასიდან მესამეში ფეხი გადაუცდა, შენი მტერია—კუჭუხიძე на основаніи Квалонскаго устава—აჯარიმებს და აჯარიმებს. თავგასულობას მისსა არ აქვს საზღვარი, მაგრამ ნათქვამია „ყოველთვის არ მოიტანს კოკა წყალსო“ და კუჭუხიძეს ამ დღეებში საჯაყი საქმე მოუვიდა. ერთ სადგურზე ძალიან გაილეშა და საქონლის მატარებელზე წაასხა 8 სული. შემდეგ სადგურზე მას განუცხადენ ეს უკანონობა და როცა იყვირა: какъ смѣете, я Контролеръ»-ო, მას მოსამსახურეებმა კონტროლიორათ მისდგენ და დაჭილეს და ოქმიც შეუყენეს. მისცემენ ამ ოქმს შესაფერ მსჯელობას თუ არა, ეგ არ ვიცით, მხოლოდ საქმე ჭანდრაკულათა.

ტლინკაძე.

ბ უ ზ ე ბ ი

—

რას ფურფუსებენ, ნეტა, ბუზები?
რაზე სჩივიან? რაზე ბზუიან?
ვისთვის რა უნდათ? რას აკეთებენ?
მხოლოთ სტყუიან!.. მწარეთ სტყუიან!..
აი, ობობა
ბადესა ქსელავს.
მზათაა ბადე...
ჰაერში ელავს.
ზე თვალსაჩინო გზა-შარაზედა
წუწკმა ობობამ ბადე დააგო!
და ამ გზაზედა
ბუზი, ბზუილა,
მოლიღინებდა,
ქოსა ტყუილა,
როგორც ქოროღლი, მაგრამ საბრალო
ეცა ბადეს და თავი წააგო...
მაშ იგი ბუზი რაღას ბზუოდა?
აკი საბრალო მხოლოთ სტყუოდა!..
ტბის ზედაპირი
მზეზე კრიალებს.
იქვე ჰაერში
ბუზი ტრიალებს,
თითქოს წყლის კრიალს დასტრფის, დაჰხარის,
ეთამაშება ნარნარ ტალღებსა,
მაგრამ წყლისაგან
ზე ონავარმა
ისკუპა უცბათ,
როგორც მწევარმა,
და ბუზიც გაჰყვა ულაბარაკოთ
ტბის ძირისაკენ თვისსა წამღებსა...
სჩანს, ეს მეორეც მხოლოთ სტყუოდა,
როცა წამით წინ ტბას დაჰბზუოდა!..
არ სტყუის მხოლოთ წუწკი ობობა,
გზა შარაზედა ბადის მქსელავი,
და ონავარი, აგი მეკობრე,
წყლისა ტალღების გადამთელავი...
მარტო ბუზები,
როცა ბზუიან,
თავის წინაშე
მხოლოთ სტყუიან!..

ნ. ზომლეთელი.

ქართული წარმოდგენა სახალხო თეატრში.

რკ. გზის მთავარი სახელოსნო.

როცა „ეშმაკის მათრახი“
მოკვდა თუ მიიძინაო,
ჩემმა ძვირფასმა მუზამაც
თავს ჩადრი მიიფინაო.
გაჰქრა ლამისა წყვდიადში,
ელოდა გათენებასო,
მაგრამ „ნაკურთხი მათრახი“
ველარ ელირსა ნებასო.
მას იგლოვს ჩემი მუზაი,
მეც იმისთვინა ვსტირია
მასალა ერთობ ბევრი მაქვს,
მაგრამ წყლით სავსე პირია
ამ ჩვენს კურთხეულ დეპოში
მათრახი ბევრსა სჭირია
და ხსნა ახლაცა ვერ ვპოვეთ,
დიდ აარს გასაჭირია.

1

ალარ მინდა, გამეცალე
ნეტა რას ჩამომეკიდე?
დრო ვიხელთე და მეც მძინავს
რათ გავხდე სხვის გზა და ხიდე
იმ დროს, როცა სხვა ილხენდა.
არც მე ვიყავ მათ უკანა,
ჭირსა და ლხინს გავიყოფდი
იმ დღეებში იმათთანა.
არა, გუშინ სულ სხვა იყო,
ბუზს არ ვსვამდი წვერთათანა,
ეხლა ღმერთი თუ გამიწყრა
რა ვქნა, დროა ამისთანა.
არშიყობის ხანა დადგა
შიში სუფევს ყოველგანა,
ვის რა უნდა, ჩემი საქმე
იჩოჩავდეს სულ უკანა
ლხინს არ შევშლი გინდ გარისხდეს
ის ეშმაკი და სატანა.

2

სანამ გინდა რომ იძინო
ალარ გეყო დასვენება?
ნუთუ ფიქრობ ქვეყანაზე
დრო თავისით მობრუნდება?
რათ არა ფიქრობ ძმობილო,
ოქრო ვერ მოგცემს შვებასა
ნეტავი ეგრე უწყალოდ
არ შელეოდი ცნებასა
ცუდი აზრი არ მასმინო,
ვარ ისედაც დაჩაგრული,
ალარ მითხრა ამის შემდეგ
ლოგინში ვარ თავ ჩარგული.
ოჯრჯელ ორი რომ ოთხია
ვინ არ იცის ჩემო ძმაო,
ისე როგორ გავიყინვი
(ენა ველარ ვამოძრავო).

3

არ მეწყინება მე შენგან
რაც უნდა ხარჯო ფიცია:
„ჩიტი არ ვარ რო ვიფრინო
ირგვლივ ქვეყანა ბიძია“

ლომათ რო ვაყო მექმნილი
არ შედრკებოდი ძმია,
ახლა რა მეთქმის მშიშარის
რით გავიმარჯლო თავია,
არ შემისმინა „ახლებმა“
ვისაც შევსთხოვე შველაო,
იმისთვის დავდუმებულ ვარ
აღარ მმორჩილობს ენაო
შეეშიხდი უნდა გაგიტყდე
ვისაც რა უნდა ის სთქვასა,
იმედი სრულათ დავკარგე
ლოგინშიც ვერ ვიქ ბუქნასა
ისაა დღე ღამ რომ მკლავსა.

4

ვითომ ბევრი გააკეთე
ლოგინიდან რომ არ დგები?
აღარ გინდა რომ დაჭკრიფო
ლილა ადრიან ვარდები?
იცი ეკალი გიჩხვლეტავს
მიტომ შეგიკრთა გულიო,
ეგეთი მელიაობით
რათ წაიწყმინდე სულიო?
იცოდე ძველს გზას ნუ კარგავ
სანამ გიჩქეფავს გულია,
აღარ დაეცე სულითა
ნუ ფიქრობ საქმე კრულია,
ამას შენც კარგა მიხვდები
ძებნა სხვაისა ტყულია,
ეგ არის შენი ნაბადი
(გუდა და მასთან სტვირია)

5

ათას ბუმნათ არ კაგყიდი
რომ სულით არ დაცემოდი,
ჩუმათ მოგებიც იმღერიან
ისმინე და ჭკვაზედ მოდი,
ლოგინთ წოლა მოდაში გაქვს
არრას ფიქრობ მოშავალზე
წითელ ღვინოს შეეჭიკევი
ეგრე ცხოვრობ ქვეყანაზე.
რათ არ იცი ჭიანჭველაც
ოქროს დროში რაინდობდა,
ძილის დროშა რათ ამართე
ეგე ლექსი თვარ გინდოდა.

ალ. ზაგლობა.



შ ა რ ა დ ა.

ორი გვარისგან შესდგება
ეს სადღეისო შარადა,
თუ გამოიცნობთ, იცოდეთ
გექნება გასახარადა.

პირველი მომღერალია
ქალი ნაქები მარადა
იტალიაში აღზრდილი
სამგზის წამყოლი ქმარადა;
იმისი ქება-დიდება
ჯერაც გაისმის ბარადა,
თუმც არ ნახულა აროდეს
თფილისის დასამხარადა.

მეორე მეცნიერია
შობილი სუფრის პირადა,
დღეს პეტერბურგში მჯდომარე
შინ დამავალი ძვირადა.
თუ ვერ იცანით კვლავ გეტყვი
ნანგრევში ძვრება ხშირადა
სომხურს და ქართულ სიძველეს
არ სტოვებს ქვეყნის პირადა,

ორივეს ერთად რო შეჰკრავ
გამო ქვა კაცი ბედკრული,
ძალმომრეობის კლანჭებში
მომწყვდეული და შეკრული.
მისთვის მზის სხივი არა ჩანს,
ღამით ვერ ხედავს მთვარესა,
შესაკერის რკინის ფანჯარას
შავ კედლებს გულ მწუხარესა
ვერ შეეპარვის ნიავი
იმის ცხრა კლიტულ კარებსა
ფრინველთა ჟივილ-ხივილი
მის გულს ვერ გაახარებსა.
ვერ ეტრფის ცისა ვარსკვლავებს,
ვერც დაბლა მინდორ-მდელოსა,
(როცა შეეთვრებით ჩვენ მაშინ
ვსვამთ იმათ სადღეგრძელოსა)

კოლ.

ეაირათიანი სტუდენტი.

„კაფე ლონდონში“ ორი სტუდენტი ლაღიძის წყლისათვის შევიდა.

— ყმაწვილო! მიმართა ერთმა მათგანმა მსახურს, მოგვიტანე ერთი ბოთლი წყალი, მაგრამ ისეთი ცივი, ისეთი ცივი, რომ კბილები ჩაგვამტვრიოს.

— შე კაი კაცო, თუ საქმე კბილების ჩამტვრევაზეა, რიღასთვის ვხარჯავთ ორ შაურს წყლის ფასს და შაურს „ნაჩაის“ როცა რომ „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი ბ-ნი ამირეჯიბი ეგერ ზის და მუქთად აგვისრულებს ამ სურვილს.



სურათი გურიის ცხოვრებიდან.

მათრახის ფოსტა.

სოხუმი. დელფინს. თქვენი ლექსები „ყოველივე ინტერესებს მოკლებულნი არ არიან.“ მაგრამ მათი დაბეჭდვა მაინც მოუხერხებელია.

„არჩევნებში გამოვიდენ
უთაური სათაოინი
და აქვთ კითხვა გასარკვევი
საჩხუბრი და სადაონი.“

შეიძლება ესეც მართალი იყოს;

ცხინვალი. ნინას. თქვენი გამოგზავნილი მიბაძვა:

„გუნიავ, ნუ სწერ დრამასა,
ნაპარია და ბრალია,
თორემ შეგიტყობს პატრონი
ჩემი აღარა ბრალია.“

მართლაც მოხერხებულათ არის შედგენილი, მაგრამ ვერ ვბეჭდავთ იმ მოსაზრებით, რომ ავ კაცს არ უნდა გაახსენო მისი ნამოქმედარი, რომ იქნება გადაეჩვიოს.

ლანჩხუთი. მთავარ დიაკონს.

„ყველა ღვდელსა უნდა ჭამა,
ყველა ხუცესს უნდა დრამა.“

იწერებით თქვენ და წარმოიდგინეთ ეს მართალია. მაგრამ,

„სხვაფრივ სჯის და სხვაფრივ შვება
ზოგჯერ სულიერი მამა.

ხაშური. მოცლილს. საწყენათ არ გეუბნებით, რასაკვირველია, მაგრამ მართლაც მოცლილი კაცი ყოფიდხართ. აბა ერთი განსაჯეთ: რა შარადაა, ეს თქვენ მიერ გამოგზავნილი შარადა:

„ღამე ძილია.“

რა თქმა უნდა ღამე ძილია საჭირო. მაგრამ ასეთი შარადები კი სრულიადაც არ არის საჭირო და მოსახმარი.

ახალქალაქი. წიგნმბარს. ახალქალაქს ბიბლიოთეკები რომ არსებობს არისტოკრატიულ-დემოკრატიული ეს ვიცით, მაგრამ შიგ თუ ვინმე დადიოდა და თანაც გაზეთის საკითხავათ, ამას აღარ მოველოდით. გმადლობთ ასეთი სასიამოვნო ცნობის მოწოდებისათვის.

ოზურგეთი. მგზავრს. დაგარწმუნებთ არც ერთი მდინარე ოზურგეთიდან, ანუ უკეთ ვსთქვათ შავი ზღვიდან ბახმაროსკენ არ მიდის და ამასთანავე რომც მიდიოდეს არც ერთი გონიერი კაცი მდინარეს ბარგს არ გაატანს. შეიძლება მხოლოდ ისა, რომ თქვენი მდინარე მდინარე კი არა ვინმე მდინარაძე იყოს. კარგათ გამოიძიეთ.

ყვირილა. მტევანს ხალხურ ლექსებს დავბეჭდავთ. მაგრამ თქვენ ამგვარი ლექსების შედგენით ნუ შეიწუხებთ თავს. ხალხურ ლექსებს, როგორც გაგვიგონია, ხალხი იგონებს და რასაც თქვენ მოიგონებთ ის თქვენი საკუთარი იქნება.

იუმორისტულ-პოპულიარული, ყოველ-კვირეული, სურათებიანი ჟურნალი

„მათრახი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით—2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Василію Болквадзе.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ გამომცემელი ე. ტურაბელიძე